ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“

წერილის ნომერი: **10-402407425**
თარიღი: **14/03/2024**

ადრესატი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: ქ. სენაკი, ი.ჭავჭავაძის.№103

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებელს
ბატონ ბადრი ქუთელიას

ბატონო ბადრი,

გეგზავნებათ ა (ა) იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი"-ს 2023 წლის ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ.

დანართი 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

ბადრი მამულია

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი-ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ.სენაკი, 4100 ახალგაზრდობის ხეივანი ქ.N7 ს/კ 439860465 ტელ: (0 413) 27 82 66
ელ- ფოსტა: ssmomsaxurebiscentri@gmail.com

ანგარიში

ა(ა)იპ ,, სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი''-ს 2023 წლის შესრულებული სამუშაოების შესახებ

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი''-ს ძირითადი მიზნებია კეთილმოწყობის სამუშაოების ორგანიზება და წარმოება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე განათების ქსელებისა და ეზამის დეკორატიული განათებების რემონტი და მოვლა- პატრონობა, ნერგების (ხე-მცენარეების, დეკორატიული ბუჩქების, მოყვავილე მცენარეების (ერთწლოვანი, მრავალწლოვანი) შენახვა, დარგვა და არსებული გამწვანების მოვლა- პატრონობა, სასაფლაოებზე საფლავების დადგენილი წესით გამოყოფა და მოვლა-პატრონობა, დაინტერესებული პირებისა სახელმეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების გაწევა, ცენტრის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამართული მუშაობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების, სანიაღვრე არხების, სანაგვე ურნების მონიტორინგი და არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაციის მიწოდება.

ცენტრში ფუნქციონირებს შვიდი განყოფილება. დასაქმებულია 172 თანამშრომელი და 8 ვიდი შტატგარეშე თანამშრომელი.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის დაქვემდებარებაში 2023 წლის მონაცემებით გვერიცხებოდა 28 ერთეული სპეცავტოსატრანსპორტო საშუალება. აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს მომსახურეობას უწევდა ტენდერში გამარჯვებული კომპანიები.

სპეცავტოსატრანსპორტო საშუალებები განთავსებულია შპს „გერგეზი"-ს ტერიტორიაზე, რომელთანაც გაგვაჩნია იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნულ ტყერიტორიაზე მიეწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების სადგომი და სპეცტექნიკის სამრეცხაო, სადაც დამონტაჟდა წნევით სარეცხი აპარატურა, ტერიტორიაზე მოწყობილია ელექტრო განათება, ასევე ავტოპარკის ტერიტორია კონტროლდება ვიდეო სათვალთვალო კამერებით, რომელსაც ემსახურება შპს ,,ნანოტეკი". ტერიტორიაზე განთავსდა სპეციალური ოროთახიანი კონტეინერი მძღოლებისათვის.

სათანადო ყურადღება ეთმობოდა უსაფრთხოების კუთხით მუშაობას საანგარიშო წლის განმავლობაში, არ მომხდარა რამე სახის დაზიანების ფაქტი. თვეში ერთხელ მძღოლებს უტარდებოდათ მეცადიონეობა უსაფრთხოიების საკითხებზე. სპეცტექნიკაზე დაყენებული ელია სპეციალური მოციმციმე მანათობლები. წყალდიდობის დროს დაზიანდა წყლის მიწოდების მაგისტრალი, მოსახლეობისათვის სასმელი წყლის დასარიგებლად საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრმა შეიძინა სპეციალური პლასტმასის ავზები, რაც ივსებოდა სასმელი წყლით და რამდენიმე დღის განმავლობაში მაგისტრალის აღდგენამდე ურიგდებოდა ქალაქის მოსახლეობას.

2023 წლის სამუშაო პერიოდში სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სოფლებში გარე განათებაზე გამოიცვალა ლედ.დიოდური სანათი ,,ჩიპი" 50 ვტ-იანი -359 ცალი, ლედ. დიოდური ნათურა 30 ვტ-იანი -3826 ცალი, ლედ. დიოდური ნათურა 32 ვტ-იანი -115 ცალი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოწყობაზე და არსებულის ჩანაცვლებაზე გაიხარჯა შემდეგი დასახელების ელ. სანათები 2X 16 მმ² --3000 გ/მ, 2 X4 მმ² - 1510 გ/მ, 2 X 2,5 მმ² --1100 გ/მ,

ნოემბერ-დეკემბრის თვეში მიმდინარეობდა საახალწლო აქსესუარების, გირლიანდების მოტაჟი შესაბამის ქუჩებსა და პარკებში.

წლის დასაწყისში ძლიერი ქარის გამო, განხორციელდა გადატეხილი, წაქცეული და დაზიანებული ხეების მოჭრა, დაჭრა და დასაწყობება. (სოფლების ჩათვლით) ხეებზე ზედმეტი ამონაყარების

მოჭრა, გაწმენდა ხავსებისაგან და მომზადება შესათეთრებლად. მიმდინარეობდა ხ ეების ფორმირება, მძიმე გადაბელვითი სამუშაოები; დასაწყობებული მორების დაჭრა საბ ეშ ე და დარიგება სოციალურად დაუცვლელ ოჯახებზე (განცხადების საფუძველზე); თოვლიან ამი ებში მცენარეების ჩამობერტყვა, ქალაქის ტერიტორიაზე პალმების გასხვლა-ფორმირება, ხ ების შეთეთრება ქვა-კირით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განცხადების საფუძველზე შ ედგ ნილი აქტების მიხედვით ხეების მოჭრა; ცენტრალურ პარკებში და სკვერებში შემობარვით ი და შემოთოხვნითი სამუშაოები; ქალაქის მთლიან ტერიტორიაზე მოთიბვითი სამუშაოები; ბუჩ ქების ფორმირება. ყოველდღიურად ვახდენდით ახალი დარგული ხე-მცენარეების მ ირწ ვითი სამუშაოებს.

მოგახსენებთ, რომ ჩვენი ცენტრის მეეზოვების, მუშა-მეეზოვებისა და მტვირთავ ების მიერ ხორცილდიებოდა ყოველდღიური საქმიანობა, რაც გამოიხატებოდა ქალაქის ცენ ტრა ური ქუჩებისა და საჯარო სივრცეების (ტროტუარების, პარკების, სკვერების, მოედნების) დ აგვ ა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავის გატანაში. ყოველდღიურად იგვება 85000 კვ/მ ფართობი. ქალაქში სისუფთავის უკეთ უზრუნველყოფისათვის, დილის დაგვა-დასუ ფთა ების შემდეგ, 4-მუშა-მეეზოვე მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ახდენს დაყრილი ნ ავის შეგროვებას და სისუფთავის დაცვას. გარდა ამისა 6-სპეც ნაგავმზიდითა და 1- თვი იმ ელი სატვირთოთი, ხდება მყარი მუნიციპალური ნარჩენების გატანა, ზუგდიდის ნაგავსაყრ ელ ში , რაც ყოველდღიურად შეადგენს 70-75 კბ/მ სამუალოდ. წინა წელს ეს მაჩვენებელი შეადგ ნდა 60-65 კბ/მ-ს.

მიმდინარე წელს დამატებული იქნა 350 ცალი პლასმასის ურნა, რომელიც გასული წლის ბ ალოს მივიღეთ და გადმოგვეცა 2023 წლის დასაწყისში. მუნიციპალიტეტის ყველა სოფლებშ ი დ იდგა ურნები, ათვისებულია მთლიანი მუნიციპალიტეტის ტერირორიის 80-85%.

მუნიციპალიტეტში განთავსებული საერთო რაოდენობა შეადგენს 608 ცალ ურნას, მ ათ ბ ორის ქალაქად 321 ცალი ურნა და სოფლებში კი 287 ცალი ურნა.

მიმდინარე წელს, მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის კომპანიისაგან საჩ ქრად გადმოგვეცა 2 ცალი IVEGO- ს მარკის 13 კბ/მ მოცულობის სპეც ნაგავმზიდები და 3 ერ თეუ ლი E IVEGO KO- ს მარკის მცირე ტვირთ ამწეობის ბორტიანი ავტომობილი. საერთ ო ბამში ნაგავმზიდების საერთო რაოდენობა შეადგენს 6 ერთეულს, რაც კუბებში გამოისახება 8 კბ/მ ტვირთამწეობით.

2023 წელს გავარემონტეთ 32 ცალი დაზიანებულის ურნა. აღნიშნული სამუშაო გაგრ ძელ დება საჭიროების მიხედვით.

გაზაფხულ, ზაფხულსა და შემოდგომის (დასაწყისის) პერიოდში, თვეში 1-ჯერ ვახდე დით სანაგვე ურნების (1,1 კბ/მ მოცულობის) შეწამვლას-დაქლორვას. სატვირთო ნაგავმზიდებ ის კი თვეში 2-ჯერ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა განოფილების სპეციალისტები, მონაწილ ობას ღებულობდნენ დასუფთავების აქციებში, რომელიც ტარდებოდა საერთაშორისო, რესპუბლ კური ან რაიონული მაშტაბით.

ხორციელდებოდა სანიაღვრე და საწრეტი არხების გაწმენდა მუშახელის მიერ. ქალაქის ქუ ებში: ჭყონდიდელი, ჭავჭავაძე, რუსთაველი, კოსტავას, წმინდა ნინოს, აკაკი ელიავას, მშვიდ ობის, აღმაშენებლის და სხვა შემოსული წერილების საფუძველზე. შეკეთდა დაზიანებული �აუ რები: მიწისქვეშა გასასვლელი, წერეთლის და ქურდოვანიძის ქუჩაზე ჭავჭავაძის კვეთასთან.

სანიაღვრე არხების, ხიდბოგირების გაწმენდითი სამუშაოები ექსკავატორით: მესხიას სახელ ობის კოლეჯსა და მოსახლეობას შორის გამავალი არხი, ურიდიას, ჭავჭავაძის, მშვიდობის ქუჩებ ე და თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულებში სანიაღვრე არხები ამოიწმინდა ექსკავატ რით.

მოშანდაკდა გრეიდერით შიდა სასოფლო გზები: ხორშის, ზანას, ფოცხოს, უშაფათის, ზემო ჭალადიდის და ეკის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სულ ექსკავატორით 3500 გრ/მეტრი სანიაღვრე არხი გაიწმინდა და გრეიდერით მოშანდაკდა შიდა სასოფლაო გზები 13000 გრ/მეტრი. ქალაქის ცენტრალური ნაწილში არსებულ საპარკე სკა ებზე შეიცვალა ხის ძელაკები, შეიღება და დამატებით მოეწყო სკამები ღვინჯილიას ქუჩაზე, დ ევნ ლთა ჩასახლებაში. შეკეთდა ფეხით სავალ ბილიკზე დაზიანებული ბეტონის ფილები რუსთავ ლის, ჭავჭავაძის, წმინდა ნინოს და კოსტავას ქუჩებზე.

სასაფლაოებზე რამოდენიმეჯერ შესრულდა (შხეფი, მენჯი (1-2), თეკლათი (1-2), ძმათა (1-2), საკალანდარიშვილო) სასაფლაოების მოთიბვითი სამუშაოები.

აგრეთვე ყველა სასაფლაოზე შესრულდა ეკალ-ბარდებისა და ჩამოტეხილი ხის ტოტების გაწ ენდა და გატანა.

სტიქიის შედეგად წაქცეული ხეების მოჭრა და გადაბელვა განცხორციელდა ნოსირის, ზ ანის, მენჯის, ძმათა სასაფლაოებზე.

2023 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში არხები გაიჭრა მენჯის სასაფლაოზე - 250 მეტ ი და გაიწმინდა არხის მიმდებარე ტერიტორია ეკალ ბარდებისაგან.

თეკლათის სასაფლაოზე გაიჭრა არხი - 500 მეტრი და გასუფდავდა არხის მიმდებარე ტერიტ ორია. აგრეთვე გაიჭრა ახალი სამანქანო გზა და შესრულდა მოხრეშვა/მოშანდაკების სამუშაო.

თეკლათის სასაფლაოზე არხებში ჩაიდო სანიაღვრე ჭა.

თითქმის ყველა სასაფლაოეზე (შხეფი, თეკლათი, მენჯი, ძმათა და ა.შ.) შესრულდა წ ინა წარი ეკალ-ბარდებისა და ხეებისაგან გაწმენდითი სამუშაოები შემოღობითვი სამ უშა ების ჩასატარებლად.

2023 წელს, საფლავის გამოყოფა/რეგისტრაციის მიზნით, რეგისტრაციაში გატარდ 139 განცხადება და შემოსულმა თანხამ შეადგინა 10448 ლარი.

2023 წლის საკუთარი შემოსავალი თვეების მიხედვით

N	თვე	თანხა
1	იანვარი	1102,5
2	თებერვალი	540
3	მარტი	960
4	აპრილი	510
5	მაისი	600
6	ივნისი	547,5
7	ივლისი	585
8	აგვისტო	758
9	სექტემბერი	795
10	ოქტომბერი	2520
11	ნოემბერი	735
12	დეკემბერი	795
	ჯამი	10448

მ/შორის: გამოყოფა- 61 განცხადება; რეგისტრაცია - 78 განცხადება.